საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/80 " 26 " ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ე. ზარნაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის №1/68 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 37 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 32 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 8 მოსამართლის, მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - ეკა ზარნაძის განაცხადი. ე. ზარნაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის საქალაქო, მცხეთის რაიონულ და გორის რაიონულ სასამართლოებში. მისი სამოსამართლო სტაჟი და გამოცდილება ქნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ეკა ზარნაძე გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2020 წლის 1 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი